

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 14 ივნისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• ივანოვი და პეტროვა ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №15001/04)

აპლიკანტები ანასტას ივანოვი და ჰრისტინა პეტროვა არიან ბულგარეთის მოქალაქეები, დაიბადნენ 1961 და 1966 წლებში და ცხოვრობენ პლოვდივში (ბულგარეთი). კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით ბატონი ივანოვი ჩივის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლითაც უარი ეთქვა მას განქორწინებაზე, რათა საშუალება მისცემოდა ექორწინა თავის პარტნიორზე ქალბატონ პეტროვაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

• ზოლტან ნიემეთი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29436/05)

აპლიკანტი ზოლტან ნიემეთი უნგრეთის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს უნგრეთის ქალაქ Szigetszentmárton-ში. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ის ჩივის, რომ უნგრეთის ხელისუფლების მხრიდან ვერ იქნა ჯეროვნად დაცული მისი უფლებები რადგან მას არ მიეცა საშუალება თავისი ვაჟის მონახულებისა, რომელიც დაიბადა 1993 წელს. სირთულეები ბავშვთან კონტაქტის შენარჩუნების მხრივ პირველად წარმოიშვა 1998 წელს, როდესაც ის განქორწინდა თავისი შვილის დედასთან და ისე აღმოჩნდა, რომ მას ბავშვი აღარ უნახავს 2005 წლის შემდეგ, ხოლო მისი ყოფილი ცოლი კი საერთოდ უკრძალავდა ბავშვთან რაიმე კონტაქტს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 20.000 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• ლეია ლატვიის წინააღმდეგ – (განაცხადი №71072/01)

აპლიკანტი იურის ლეია ლატვიის მოქალაქეა, დაიბადა 1946 წელს და ცხოვრობს რიგაში (ლატვია). საქმე ეხება ბატონი ლეიას საჩივარს მისი პატიმრობის პირობების შესახებ, რომელიც რვა წლის ვადით მისჯილი ჰქონდა ქურდობისა და მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო. განსაკუთრებით, იგი აღნიშნავდა, რომ 2005 წლის სექტემბერში გადაიყვანეს ისეთ კარცერში, სადაც პირობები მიზანმიმართულად იყო დამძიმებული და სადაც მას რეგულარულად გაშიშვლებამდე ჩხრეკდნენ. იგი ასევე ჩივის, რომ ადგილობრივი საგამოძიებო ორგანოები არ რეაგირებდნენ მის საჩივრებზე. განმცხადებელი ასევე ჩივის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებაში. შემდგომში განმცხადებელი კონვენციის 34-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ 1998 და 2000 წლებში მან მიმართა ევროპის სასამართლოს, თუმცა საჩივრები არ გაგზავნილა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი საჩივარი

პროკურატურაში გადაიგზავნა, სადაც უარყოფილ იქნა მისი მოთხოვნები, როგორც დაუსაბუთებელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი და სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 1.000 ევროს გადახდა არამატერიალური, ხოლო 64 ევროს გადახდა ტექნიკური ხარჯების დასაფარად.

სამართლებრივი დაკმაყოფილება

- **გატი მალტას წინააღმდეგ – (განაცხადი №28221/08)**

აპლიკანტი ლორენს გატი მალტის მოქალაქეა, დაიბადა 1947 წელს და მის დაპატიმრებამდე, რომელიც 2006 წლის 28 ივლისს მოხდა, ცხოვრობდა სენგლეაში (მალტა). 2010 წლის 27 ივლისის განჩინებაში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან როგორც დადგინდა ბატონი გატი, რომლის წინააღმდეგაც იხილებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდების საქმე, დაპატიმრებული იყო 2000 დღის განმავლობაში თავდებით გათავისუფლების პირობის დარღვევის გამო. პატიმრობის აღნიშნული ვადა უკიდურესად გაჭიანურებული იყო. შედეგად, სტრასბურგის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით 2010 წლის აგვისტოში ბატონი გატი გათავისუფლდა. სტრასბურგის სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 17 დეკემბრით დათარიღებულ წერილში განმცხადებელმა განაცხადა, რომ იგი საქმის დასრულების შედეგით კმაყოფილია. მიუხედავად ამისა, მან აღნიშნა, რომ ვიდრე შესაბამისი კანონმდებლობა არ არის შემუშავებული, მან სასამართლოს შესთავაზა სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ამ მიმართულებით. განაცხადის დანარჩენი ნაწილი ამოირიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან.

- **მერსიეკა და სხვები მალტის წინააღმდეგ – (განაცხადი №21974/07)**

აპლიკანტები პოლ მერსიეკა, ენდრიუ მანდუკა, რაფაელ ალოიზიო, სტივ კაჩია, სტეფან პარიზი, მალკოლმ ბუკერი და ედუარდ კამილერი მალტის მოქალაქენი არიან და ცხოვრობენ მალტაში. ისინი არიან დიპლომირებული ბუღალტრები და აუდიტორი ფირმის პარტნიორები. საქმე ეხება მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეს გულგრილობისა და თაღლითობის ბრალდებით ფინანსური დაანგარიშებისას და აუდიტის ანგარიშის შედგენისას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 20-დღიანი ვადა შეუმცირეს ცხრა დღემდე და ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვადების შესახებ კანონების აღნიშნული შეზღუდვების ინტერპრეტაცია ნიშნავდა იმას, რომ ამით მათ ეფექტურად შეეზღუდათ სააპელაციო საჩივრის შეტანის ნებისმიერი უფლება, რაც განმცხადებლების აზრით წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ შეიდივე განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლებრივ

დაკმაყოფილებას, სახელმწიფოს დაეკისრა 6,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **მოჟიკი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №52443/07)**

აპლიკანტი იახეკ მოჟიკი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1939 წელს და ცხოვრობს კოზალინში (პოლონეთი). საქმე ეხება მის წინააღმდეგ 2005 წელს აღძრულ ე.წ. „ლუსტრაციის განხილვებს“, რომელიც პოლონეთში შემოიღეს 1997 წელს და მიზნად ისახავდა იმ პირების გამოვლენას ვინც მუშაობდა, ან თანამშრომლობდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან კომუნისტების მმართველობისას. ამის შედეგად, აპლიკანტმა – რომელიც პროფესიით იურისტი იყო – დაკარგა საადვოკატო პრაქტიკის უფლება. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული ლუსტრაციის საქმის განხილვები არასამართლიანი იყო, რადგან მას უფლება ჰქონდა მხოლოდ საქმის საიდუმლო მასალების გაცნობის შეზღუდული შესაძლებლობა და სასამართლოში მას უარი ეთქვა მის მიერ გამოძახებული მთელი რიგი მოწმეების დაკითხვაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები. რაც შეეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის დადგენა წარმოადგენს სწორედ სამართლებრივ დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, ხოლო სახელმწიფოს დაეკისრა 1,500 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

სამართლებრივი დაკმაყოფილება

- **დენისოვა და მოისევეა რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №16903/03)**

აპლიკანტები ნატალია დენისოვა და მისი ქალიშვილი ნადეჟდა მოისევეა რუსეთის მოქალაქენი არიან, დაბადნენ 1949 და 1978 წლებში. ისინი არიან ვალენტინ მოისევეის მეუღლე და შვილი. ვალენტინ მოისევეი ასევე არის აპლიკანტი (განაცხადი №62936/00). 2010 წლის 1 აპრილის განჩინებაში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი, რადგან განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ფექტურად გაესაჩივრებინათ მათი საკუთრების კონფისკაცია – პირველი განმცხადებლის შემთხვევაში ეს იყო მეუღლის ქონებრივი წილი, ხოლო მეორე განმცხადებლის შემთხვევაში ეს იყო კომპიუტერი – რომელიც 1998 წლის განაჩენის მიხედვით დადგინდა აპლიკანტის მეუღლის მიმართ, რომელიც სახელმწიფოს დალატში ცნეს მსაჯურდებულად, მაგრამ არც მისი მეუღლე და არც მისი შვილი საქმეში მონაწილე მსახრეს არ წარმოადგენდა.

სასამართლომ დღევანდელ გადაწყვეტილებაში სახელმწიფოს აპლიკანტების სასარგებლოდ დააკისრა 8,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 496,80 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **ხანამიროვა რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №21353/10)**

აპლიკანტი დიანა ხანამიროვა რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1987 წელსა და ცხოვრობს გერმანიის რესპუბლიკაში (დადესტანის რესპუბლიკა, რუსეთი). კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ ხდება 2008 წლის განჩინების აღსრულება, რომლითაც მის 2007 წელს დაბადებულ ვაჟს მიენიჭა დედასთან ცხოვრების უფლება. ბავშვი ამჟამად ცხოვრობს აპლიკანტის ყოფილ ქმართან, რომელთანაც 2008 წელს გაქორწინდა და უარი უთხრა ბავშვის წაყვანაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 10,000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 950 ევროს გადახდა დანახარჯების დასაფარად.

- **პიოტრ სევასტიანოვი რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №75911/01)**

აპლიკანტი პიოტრ სევასტიანოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1973 წელს და ცხოვრობს მოსკოვში (რუსეთი). 2001 წელს იგი გაასამართლეს ნარკოტიკული დანაშაულის გამო. აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რადგან მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვები უკანონო იყო, კერძოდ სასამართლოს შემადგენლობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსაჯული მოსამართლეები, ერთ-ერთი მათგანი არ იყო დამოუკიდებელი, რადგან იგი იმავე სასამართლოში მუშაობდა კლერკად და სასამართლოს მიმდინარეობისას არ იყო გათავისუფლებული თავისი საქმიანობიდან.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 3,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **აიგუნი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №35658/06)**

აპლიკანტები ზუფლუ აიგუნი და სირაჩ აიგუნი თურქეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1946 და 1956 წლებში და ცხოვრობენ ღიარბაქირში (თურქეთი). კონვენციის პირველი ოქმის I პუნქტზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მთლიანად დაკარგეს სარგებლობის უფლება თავიანთ მიწაზე, რომელიც ვეღარ აღმოჩნდა ხელმისაწვდომი მას შემდეგ, რაც დიჯლექში დაიწყო პლატინის მშენებლობა, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ოფიციალურად არ მოხდინა მიწის ექსპროპრიაცია და არ მისცა შესაბამისი კომპენსაცია. ისინი ასევე ჩივიან ადგილობრივი სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა შეფასების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 13,175 ევროს გადახდა

ზუფლუ აიგუნისათვის, ხოლო 5,945 ევროს გადახდა – სირაჩ აიგუნისათვის. ხარჯების დასაფარად კი 1,500 ევროს გადახდა ერთობლივად.

- **შათი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №34993/05)**

აპლიკანტი მაჰირ შათი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1963 წელს და ცხოვრობს იზმირში (თურქეთი). კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ დაკავებულ იქნა მისი მიწა მრავალი წლის განმავლობაში ყოველგვარი ოფიციალური ექსპროპრიაციის გარეშე. შემდგომში განმცხადებელი ჩივის ადგილობრივი სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც ნაცვლად შესაბამისი საკომპენსაციო თანხის დაკისრებისა, შემცირებული კომპენსაცია გადაუხადეს. ასევე, განმცხადებელი ჩივის იმის თაობაზეც, რომ აღნიშნული კომპენსაცია მნიშვნელოვანი დაგვიანებით მოხდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 1,800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ანალოგი საქმეები

- *კაზოლარო კამილეთი იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №37178/02)*
- *დე სტეფანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №72795/01)*
- *ლანდოლი იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №67992/01)*
- *რივერა და დი ბონავენტურა იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №63869/00)*

აღნიშნულ საქმეებში აპლიკანტები ჩივიან, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკანონოდ დაიკავა მათი მიწები ყოველგვარის ფორმალური ექსპროპრიაციისა თუ კომპენსაციის გადახდის გარეშე. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ ყველა საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

- **სკურატი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №26451/07)**

საქმე ეხება აპლიკანტის საჩივარს მისი წინასწარი პატიმრობის ვადის გაჭიანურების თაობაზე, რომელიც ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობის გამო მიესაჯა და ასევე, მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც აღიძრა ყალბი დიპლომის დამზადებაში ხელშეწყობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი გაჭიანურების გამო.

გაჭიანურებული საქმეები

- ***ბოდორი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №31181/07)***

საქმე ეხება აპლიკანტის საჩივარს მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვის თაობაზე, რომელიც თაღლითობისა და გაყალბების ბრალდებით იყო აღძრული.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- ***ჰეიგი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №9254/07)***
- ***კელემენი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №16033/06)***

აღნიშნულ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.